№ 212
პარასკევი, 7 ოქტომბერი 1894

1877—1894

# ივერია

№ 212
პარასკევი, 7 ოქტომბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

**„ივერია“**
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
**ტ ფ ი ლ ი ს ი,**
**„ივერიის“ რედაქციას**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакціа „ИВЕРІА“.

## დეპეშა

5 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** გუშინ დიდი მთავრინა ალექსანდრა იოსების ასული ელლინთა დედოფალთან ერთად სევასტოპოლს წაბძანდა.

გუშინ დედოფალ მარიამის სახელზედ დაარსებულ თეატრში წარმოდგენები დაიწყო. წარმოადგინეს ოპერა „Жизнь за Царя“. მეორე მოქმედების შემდეგ თეატრში დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად და სრულიად მოულოდნელად მოითხოვა საერო საგალობლის ასრულება; საერო საგალობელი სამჯერ იქმნა შესრულებული. ფეხზედ მდგომმა საზოგადოებამ მოწიწებით მოისმინა. ნიჭიერ მოთამაშეთ არტისტ ქალებს მრავინას, დოლინისას და მომღერალს კორიაკინს დიდი ოვაციები გაუმართეს; ორსავე არტისტ ქალს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს.

**ათინა.** პრინცმა ჟელისამ თავისთვის ოთახები მოამზადებინა კორფუს „Hôtel St George“-ს სასტუმროში. მეფეს მომავალ კვირას მოელიან; ათინაში წასვლის დროს მეფე კორფუზედ გაივლის.

**ლონდონი.** ხმა დადის, რომ იაპონელებმა არტურის ნავთ-სადგური დაიპყრესო.

**ტულონი.** საფრანგეთის ჯავშნიანი ხომალდი კორფუს წავა.

**პარიზი.** გამოცხადებულია ულტიმატუმი, რომელიც გაეგზავნება მადაგასკარის მთავრობას: ა) მიღებულ იქმნას და შეწყნარებულ საფრანგეთის პროტექტორატი და მასთან დაკავშირებული ყველა საპოლიტიკო და სადიპლომატიო საქმე, ბ) ტანარარივაში მუდამ იდგეს საფრანგეთის ჯარი და გ) მადაგასკარის მთავრობამ პასუხი უნდა მისცეს საფრანგეთს რვა დღის განმავლობაში.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 6 ოქტომბერს ტფილისში დაბრუნდა ყარაიადგან კავკასიის მთავარ-მართებელი გენერალ ადიუტანტი შერემეტევი.

*** ამბობენ, რომ მოსკოვის გამოჩენილს პროფესორს ზახარინს, რომელიც მაისში რუსეთის დედოფალს მოჰყვა აბასთუმანს და ეხლა-კი ყირიმშია ხელმწიფე იმპერატორთან, განუზრახავს ტფილისში სამაგალითო სამკურნალო დააარსოს, რადგანაც ბ-ნ ზახარინის აზრით ტფილისში არც ერთი სამკურნალო არ არის ისე გამართული, როგორც საჭიროა. თავისს სამკურნალოსთვის ბ-ნ ზახარინს განუზრახავს შეისყიდოს იზმიროვისა და მილიოროვის (არშაკუნის) სახლი, გრიბოედოვის ქუჩაზედ. ამ სამკურნალოში ექიმებად ზახარინის ასისტენტები იქმნებიან.

*** კავკასიის სამკურნალო ნაწილის გამგე ექიმ ბ-ნ გლავაცკის ბაქოდგან ოფიციალურად აუწყებენ, რომ ნობელის ქარხანაში ერთი სპარსელი მუშა ავად გახდა ციმბირის ჭირითაო.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მომღერალი არტისტი ქალი პაპაიანი, ამ სეზონში მოწვეულია ტფილისში რამდენსამე წარმოდგენაზედ სახელმწიფო თეატრში.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრო თხოულობს, რომ ხაზინამ სესხად გასცეს 132,344 მან. ტფილისის სახელმწიფო თეატრის დასამთავრებლად.

*** ტფილისის ნოქრებმა ამ დღეებში წარუდგინეს ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს ნოქრების საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების წესდების პროექტი დასამტკიცებლად. ბ-ნმა გუბერნატორმა ამ საზოგადოების წესდების პროექტი გუშინ ტფილისის პოლიციმეისტერს მასტიცკის გადასცა გადასათვალიერებლად და ამის შესახებ თავისს აზრის წარსადგენად.

*** გუშინ ქალაქის გამგეობა შეუდგა მომავალ წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას, რომელსაც ამ ახლო ხანში ქალაქის გამგეობა დაჰბეჭდავს და გაუგზავნის ქალაქის საბჭოს ხმოსნებს.

*** გუშინ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა შახაზიზოვმა ქალაქის მოურავს თხოვნა მისცა, რომლითაც ქალაქის საბჭოსა სთხოვს შემწეობა მისცეს ქალაქის გამგეობამ ტფილისის მეორე კლასიკურ გიმნაზიას, რომელიც ამ ახლო ხანში თავისს საკუთარს შენობაში უნდა გადავიდეს. ქალაქს შეუძლიან შემდეგი შემწეობა აღმოუჩინოს ამ გიმნაზიასაო: უფასოდ გაიყვანოს მილი და უფასოდვე მისცეს ამ გიმნაზიას მილის წყალი, ქვით მოჰფინოს გიმნაზიამდე ვერის ხიდიდგან მიმავალი ახალი ქუჩა, თხუთმეტის წლის ვადით. ამ შენობას არ გადაახდევინოს დასაფასებელი ხარჯი, უფასოდვე გაუმართოს მტკვარში გასაყვანი არხი და სხვა.

*** სავაჭრო საბუთების აღების ვადა ქალაქის გამგეობიდგან ამ თვის 24-ში თავდება. აქამდე მარტო 19-დე თხოვნა შეუტანიათ სხვა-და-სხვა მოვაჭრეთა. 24 ოქტომბრიდგან ქალაქის გამგეობა შეუდგება აქციზის განაწილებას ამ მოვაჭრეთა შორის. აქციზი 30000 მანათამდეა გადასახდი.

*** სოფ. საჩინო: ამ ერთის კვირის წინად ერთი ვიღაც საფილოქსერო დასის წევრი მოვიდა ჩვენში: სოფელ ვანის გლეხები შეჰყარა კანცელარიასთან და გამოაცხადა, რომ ვენახების გასასინჯავად მოვედი, მინდა გავიგო გაჩენია აქაურს ვენახებს ფილოქსერა, თუ არაო? მაგრამ „ვენახის დოხტურმა“, როგორც აქაუ-

## ფელეტონი

**პასუხი „კვალის“ რაზმსა**

წერილი მეორე

წინა წერილში დავვავიწყდა დავვედგინა კანონი, რომელიც პირდაპირ გამოდის რთულის ზმნების გამოკვლეული შენობიდგან და განაწესებს მას, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს პირის მაჩვენებელსა სხვა-და-სხვა რიგობის ზმნებში. აი ეს კანონი: როდესაც რთულის ზმნის არსებობა არ არის დამოკიდებული თავსართზედ და ეს უკანასკნელი იხმარება მხოლოდ ზმნის სახის აღსანიშნელად, და უამისოდაც ზმნა სრულიად ჰხატავს თავისს შინაარსს, შემეცნებასა, მაშინ ზმნა პირდაპირ იბამს პირის მაჩვენებელს თავისავე დასაწყისში, თავსართის შემდეგ; მაგალითად: და-ვ-წერ, შე-ვ-აფარე, ჩა-ვ-დგამ, მი-ვა-შენებ, გა-და-ვ-იკითხავ და სხვანი. წინააღმდეგ ამისა, ყოველი რთული ზმნა, რომელსაც თავსართთან ისეთი მჭიდრო დამოკიდებულობა აქვს და ისე არის მასთან შეხორცებული, რომ უიმისოდ თვითონ ზმნის შემეცნება, მნიშვნელობა იკარგება, ქარწყლდება, ან სრულიად სხვაფერდება, პირის მაჩვენებელს ისვამს თავსართის წინ და ვერ მჩვენეულობს, ვერ იტანს განშორებას თავსართისაგან; მაგალითად: ვ-სა-დილობ, ვ-მე-თაურობ, ვ-მო-სახლეობ, ვ-მა-მა-სახლისობ, ვ-აღ-იარებ. ჩვენ აქ იოტის ოდენადაც ვერ შევვიშლის ხელსა აზრი ბ-ნი აკაკისა და სილოვანისა იმის შესახებ, ვითომც სახელ-ზმნა „აღ-გიაროსი“ იყოს არა აღიარება, ღიარება, არამედ აღსარება, რომელიც ჩვენ სრულიად სხვა ჯურის სახელ-ზმნად მიგვაჩნია. ვერ შეგვშლის მეტქი ამიტომ, რომ აქაც თავსართი „აღ“ ისეა შემტკიცებული, შეკავშირებული ზმნის ძირთანა, რომ მისი მოგლეჯა აუქმებს არსებობას ამ ზმნისას, რადგანაც გამოდის ყოვლად უმნიშვნელო, უაზრო „სარება“.

როგორც ჩვენს საგრამატიკო ციხუნაზედ იერიშის მიტანით ბ-ნმა დოდაშვილმა უფრო ცხად ჰყო მისი სიმტკიცე და კანონიერობა, სწორედ ისევე აკაკის შეცდომების დაცვით უფრო მომეტებულად გამოაშკარავა მათი შეუსაბამობა.

პირველად, ბ-ნი დოდაშვილი ესარჩლება ფორმას «ჰკვიერი», ნახმარსა აკაკის მიერ. რა საბუთით? პოეტს გაუგონია ხალხში, მოსწონებია და უხმარიაო. ეს რა საფუძველია! თუ ერთს რომელსამე პაწია კუნჭულში ხმარება რომელიმე სიტყვისა მთლად ამართლებს მის შემოღებას ლიტერატურაში, მაშ გაღიარებ-ს რაღა პირით-ღა უარ-ჰყოფთ, როდესაც იგი გამეფებულია საქართველოს ორ წილში? აკაკიმ ქართული ენა შეაყვარა საზოგადოებას და ამის გამო ნება აქვს თავისს საკუთარს გემოზედ სწეროს, თვითნებობა გამოიჩინოს და თავისებურად იხმაროს ქართული სიტყვებიო. ძალიან ლიპი ბილიკი ამოირჩია ბ-ნმა დოდაშვილმა მიზნის მისახწევად. „კვალმა“ ვის არ მიაწერა ქართულის წიგნის ცოდნის გავრცელება საზოგადოებაში, ქართული ენის შეყვარება? ჯერ დაასახელა ახპეტელოვი (ხუმრობა არ გეგონოთ), მერმე სასოფლო გაზეთი გ. წერეთლისა და ახლა აკაკის უსაკუთრებს ამ ღვაწლსა. წინედაც სასაცილო სიცრუეს ამბობდა გაზეთი და ახლაც სრულს სიმართლეს მალამს. ყველამ კარგად იცის ნამდვილი მიზეზი იმ მოვლენისა, რომ ათის წლის წინედ თითო წიგნაკი ძლივს დაიბეჭდებოდა წელიწადში, ახლა-კი ოცობით და ორმოცობით იბეჭდება, მაშინ მარტო თბილისში არსებობდა ერთი ღარიბი ქართული სტამბა, ახლა-კი საბეჭდავები დაბებშიაც-კი გაიმართა, მაშინ ორასი ხელის მომწერელი ჟურნალ-გაზეთისათვის სანატრელს რიცხვს შეადგენდა, ახლა-კი ათასს ხელის მომწერელსაც ცოტაობენ. ვინ მოახდინა ეს ძირითადი ცვლილება?.. აკაკიმ? თუ პოეტებს ეს შეეძლოთ, აკაკიმდე თუნდა ათი სახელოვანი პოეტი გვყოლია. რატომ მათ არ გაავრცელეს ქართულის წიგნის ცოდნა და სიყვარული? რატომ თვითონ რუსთაველმა და მისმა უკვდავმა პოემამ არ მოიტანა ეს ნაყოფი? არა, ბატონებო, აქ ჩვენ მადლიერნი უნდა ვიყვნეთ უმთავრესად იმ ახალი დაწესებულებისა, რომელიც დაინერგა ჩვენს ერში ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ და რომელსაც სახალხო სკოლა ჰქვიან. დიახ, ჩვენი მწიგნობრობა და ლიტერატურა ფეხზედ დააყენა სწორედ სახალხო სკოლის მასწავლებელმა. რად ვმალავთ ამასა, რად ვცარცვავთ ზნეობრივად საწყალს სოფლის მასწავლებელსა, რომელსაც ამ ღვაწლის იქით არაფერი გააჩნია? რად ვიქცევით ისე, როგორც მოიქცა დავით მეფე, რომელმაც საწყალს ურს ერთად ერთი ლამაზი ცოლიც წაართვა, როდესაც თვითონ ასობით ჰყავდა ლამაზი ცოლები თავისს ჰარამხანაში? ვისთვის არის ეს სიცრუე სასარგებლო? აკაკისათვის? იგი მდიდარია სახელოვანი პოეტის დიდებით, იმისთანა პოეტისა, რომლის მსგავსი დასავლეთ საქართველოს ჯერედ არ გაუზრდია დასაბამიდგან სოფლისა. რა საჭიროა ამ როდშილდისათვის მითვისება იმისი, რაც სრული სამართლიანობით ეკუთვნის საწყალს ლაზარს სოფლისასა? იქმნება ეს სასარგებლო იყვეს იმისათვის, ვინც ამისთანა, ყალბს კომპლიმენტებს ხარჯავს, მაგრამ საზოგადო სიკეთისათვის-კი ეს უსამართლობა ფრიად მავნებელია. ამ უსამართლობას ის შედეგი მოსდევს, რომ ჩვენი საზოგადოება გულ-გრილად უყურებს სკოლებში ქართულის ენის სწავლების შესუსტებასა, თითქმის გაუქმებასა, რადგანაც ფიქრობს: ქართული მწიგნობრობა სხვებს აუღორძინებიათ და სკოლებში ქართული ენა გინდ იყვეს და გინდ ნუ იქნებაო. დაიცადეთ, ბატონებო. თუ თქვენმა უკუღმართობამ და საზოგადოების გულ-გრილობამ განაადვილა ქართული ენის გაუქმება სკოლებში, მალე მოესწრებით იმ შავს დღესა, როდესაც სტამბები მაზრებში დაიკეტება, ჟურნალ-გაზეთებს ხელის მომწერელნი შეუმცირდება, წიგნების ბეჭდვა უწინდებურად იშვიათი შეიქმნება, ქართული ლიტერატურა გაღარიბდება და ჩვენს ხალხს დაეხშვება კარი ცოდნისა, რომლის გარეშე ბრძოლა არსებობისათვის დამარცხებით გათავდება. დაეხშვება მეთქი, ვამბობ, რადგანაც ქართველს ხალხს მხოლოდ ქართულის წიგნის შუამავლობით შეუძლიან დაეწაფოს ცოდნასა. რუსული ენა ცოდნის მალად ვერ გადაიქცევა, რადგანაც თვით ორ-კლასიანს სკოლებშიაც-კი მხოლოდ საყველ-პურო რუსულის შეთვისება შეიძლება, რათა ამ დამამხობელს მომავალს ავცდეთ, საჭიროა ყოველი ღონისძიება ვიხმაროთ, რომ

რებმა დაარქვეს, ბევრი ვერაფერი გვიწამლა. თითქმის ვენახშიაც არ შესულა, მარტო გვერდზედ ჩაუარა და სადღაც წავიდა. არ გვესმის, რას უნდა მიეწეროს ასეთი გულგრილობა „ვენახის ექიმბაშისა“?

## დამაკვირდი

რაც უნდა სამწუხარო იყოს კეთილ-ზნეობიან კაცთა ცხოვრება, მაინც უფრო ტკბილია, ვიდრე ბოროტთა კაცთა ცხოვრება.

ქ-ნი როლანდი

**

საფრთხეთი სავსეა გზა თავისუფლებისა, საიმედოა მხოლოდ ბილიკი მოვალეობისა.

შილლერი

## კორესპონდენცია

**ახალ-სენაკი.** 1 ოქტომბერი, 1894 წ., ახალ-სენაკელ განათლებულ საზოგადოების ცხოვრების ქორონიკონში დიდის ასოებით უნდა ჩაიწეროს. ამ დღეს დაარსდა ჩვენში „კლუბი“. დიდი ხანია, რაც ახალ-სენაკში ხმა დადიოდა „კლუბის დაარსების შესახებ და 1892 წ. კრება მოხდა კიდეც, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ყოველს კეთილს საქმეს თითო-ოროლა ხელის შემშლელი აღმოუჩნდება ხოლმე, აქაც ისე მოხდა და 1892 წ. კრების გარდაწყვეტილებას ჩაილურის წყალი დაალევინეს. დღეს-კი ამ საგნის შესახებ ხელახლად აღიძრა აქ ლაპარაკი და კეთილადაც გარდასწყდა.

ამ დღეს, როგორც ახალ-სენაკის ინტელიგენცია და აქაურივე თავად აზნაურნი და საპატიო კაცნი, აგრეთვე ახლო-მახლო დაბა-სოფლებიდგანაც იყვნენ ზოგიერთები მოწვეულნი. კრება დაიწყო და აღმოჩნდა, რომ მსურველთა რიცხვი ჯერჯერობით 133 კაცი იყო. კრებას დაესწრო ას კაცზედ მეტი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ოქმს. კრებამ აირჩია კომისია და დაავალა ამოირჩიონ საკლუბე ადგილი. „კლუბი“ უნდა მოაწყონ და გაალამაზონ ყველაფრით ისე, როგორც ქალაქებშია. წლიური საწევრო ფული თხუთმეტი მანეთია.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი გარემოება, რომელიც ჩემის აზრით აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და სასახელოც იქმნება იმათთვის, ვინც «კლუბში» მონაწილეობას იღებს. მართალია, განათლებულს საზოგადოებას გასართობად „კლუბი“, ექმნება, მაგრამ ვისაც ბედმა არ არგუნა «კლუბში» მონაწილეობის მიღება, იმათ რაღა ჰქნან? იმათთვის საჭიროა და სამადლო საქმეც იქმნება სამკითხველოს დაარსება. „კლუბისთვის“ მაინც უნდა სახლი დაიქირავონ და აქ ერთს ოთახში სამკითხველოს გამართვა დიდს საქმეს არ უნდა შეადგენდეს. საჭიროა მხოლოდ ცოტაოდენი ფული ჟურნალ-გაზეთების გამოსაწერად. წიგნები და სამკითხველოსათვის საჭირო ხის ავეჯი დარჩენილი გვაქვს ჩვენის გაუქმებულის სამკითხველოსი. სულითა და გულით ვისურვებთ „კლუბთან“ დაარსებული იქმნეს სამკითხველო.

ტრიფონ კალანდარიშვილი

**სოფ. მარტყოფი.** მარტყოფი ძველის-ძველი სოფელია და მდებარეობს ტფილისის აღმოსავლეთისაკენ, ბაღიან და ვენახიან ვიწრო ხეობაში; უდიდეს სოფელთაგანია მაზრაში და შეიცავს ათას კომლამდე მცხოვრებს. ამ ჟამად მარტყოფი მეტად საჭიროებს წინ მსვლელობას, რადგანაც უხეირო მოხელეების გამო ბევრით ჩამორჩა სხვა და სხვა სიკეთს და წარმატებას, მხოლოდ ეხლა-კი დიდათ იმედი აქვთ მკვიდრთ, რომ ახალს მამასახლისის ხელში იქნება გვეშველოს რამეო. ადგილობრივის ინტელიგენციის დახმარებით მამასახლისი სცდილობს დააარსოს სასოფლო ბანკი, აფთიაქი, აბანო და სხვა. ამ სოფელში არსებობს ოთხი შტატის ეკკლესია, ოთხის მღვდლითურთ (პლაღოჩინიანად). ეკკლესიათა შორის ერთი უფრო შესანიშნავი, დიდი და წარჩინებული, ხელთ-უქმნელის ხატის ტაძარია, რომელიც აღაშენა არხიეპისკოპოსმა-სტეფანე რუსთაველმა ამ საუკუნის დასაწყისში. ეს ტაძარი წინად საეპისკოპოსო იყო, შემდეგ საარხიმანდრიტო გახდა და ეხლა მღვდლები ინიშნებიან. საზოგადოდ მარტყოფის ეკკლესიები მეტად ღარიბია შეუძლოუსავლობის გამო და მღვდლების შრომის დაკყლისყოფილების საქმეც ერთობ გაძნელებული და გათახსნიერებულია მრევლთაგან.

ნ. ს—შვილი

## ნეკროლოგი

† მ. პ. ჩხეიძის ასული

ქუთაისში გარდაიცვალა მ. პ. ჩხეიძის ქალი, რომელიც შარშან სექტემბრიდან კ. მესხის ქართულ დრამატიულ დასში იღებდა მონაწილეობას. განსვენებულს სასცენო ნიჭი ჰქონდა და რომ დასცლოდა, ჩვენის სცენის ერთ საუკეთესო არტისტ-ქალთაგანი შეიქმნებოდა, მაგრამ სუსტმა აგებულებამ ვერ შეუძლო ხანგრძლივს ავადმყოფობას, განსვენებული იანვრის აქეთ ავად იყო, დ ბოლოს კიდეც იმსხვერპლა. განსვენებულის გვამის დაკრძალვას 28-ს სექტემბერს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო: განსვენებულის კუბოს ამშვენებდა გვირგვინები, გიმნაზიის მოსწავლე ქალებისა, მგონი ორი ამხანაგებისაგან, კ. მესხისაგან, ქუთაისის არტისტთა ამხანაგობისაგ და სხვა. საფლავზედ ქუთაისის დასის მსახიობმა ბ-ნმა ქუჯიმ გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა.

## რუსეთის ახალი თაობის გამო

გაზეთმა „რუსკ. ჟიზნ“-მა რამდენიმე წერილი მოანდომა იმის გამოკვლევას, თუ რამდენად სამართლიანია ახალგაზრდობის გამტყუნება იმის გამო, რომ ვითომ დღევანდელ ახალ თაობას აღარა ჰქონდეს წმიდა და მაღალი იდეალები, ისეთი იდეალები, რომელიც ასულდგმულებდა და ამოქმედებდა ქვეყნის სასიკეთოდ მესამოცე წლების თაობას.

გაზეთი ამბობს, რომ ეს კეთილი იდეალები დღეს არც საზოგადოებაში იპოვება და არც რუსეთის მწერლობაშიო. თუ რომ მესამოცე წლების თაობა უანგაროდ ემსახურებოდა საზოგადო საქმეს, იმისთვის, რომ მაშინ საზოგადოება მაღალის ზნეობისა იყო და მეტადრე მწერლობა, საიდანაც იძენდა მესამოცე წლის თაობა თავისს მცნებასა და ზნეობასაო, ხოლო ამ ჟამად საზოგადოებაც დაკნინდა, მწერლობაც ერთიანად გაირყვნა და როგორ გნებავთ, რომ ამ შემთხვევაში ეხლანდელი ახალი თაობა ისეთივე იყოს, როგორც იმათი წინამოადგილენი იყვნენ მესამოცე წლებში. თუ ისინი თავისს დროის ლიტერატურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ ეხლანდელი თაობაც დღევანდელის ლიტერატურის გავლენის ქვეშ არის, და როგორ შეიძლება, რომ ეს თაობა ისეთისავე ღირსებით იყოს შემკული, როგორც მესამოცე წლების თაობა. მაგრამ ეხლანდელი თაობა მაინც საზოგადოების სხვა ნაწილზედ უფრო კარგის აზრის არის და უფრო კეთილის განზრახვით არის განმსჭვალული რაიცა მტკიცდება იმითაც, რომ ხაფუძვლიანი წიგნების მყიდველი კიდევ ეს ახალი თაობაა და არა სხვა ვინმეო.

შემდეგ გაზეთი ჩვენის დროის ლიტერატურის შესახებ ასე განაგრძობს:“

ეხლა რაღასა ვხედავთ? მარტო დაცინვით თუ ითქმის, რომ უმრავლესობა ჟურნალ-გაზეთობისა საზოგადოებას ემსახურებაო, თორემ ამ უმრავლესობამ სრულიად სხვა გზა ამოირჩია. იგი ართობს საზოგადოებას, უღვიძებს ცუდს გრძნობებს, რომ ამით თავისს სურვილს მიაღწიოს, იმ სურვილს, რომელსაც საერთო არა აქვს-რა საზოგადოების კეთილდღეობასთან. ერთს დროს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ციცერონები ჰქუხდნენ, ეხლა-კი ეული ხვრელიდგან გამოძვრნენ კატილინის დუხჭირი მსგავსნი ადამიანნი. ერთს დროს თავისის მძლიერებით, კეთილშობილის გრძნობით და აზრით ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა ჰგავდა დიდებულს „იუნიას წერილებს“, ამ სამაგალითო ნიმუშს პატრიოსანის დასტამბულ სიტყვისას, ეხლა-კი ჩვენის გაზეთობისათვის პატრიოსნება არ არსებობს და ის სურვილი-და ასულდგმულებთ, რომ როგორმე რუსულ „ფიგაროებად“ გარდაიქცნენ.

შეგვიბრალეთ, ბატონებო. რა გზას დასდგომიხართ? განა არ იცით, რომ დასავლეთი ევროპა და რუსეთი, ისტორიულ მიზეზების გამო, სულ სხვა და-სხვა კითარებაში არიან ჩამდგარნი? თუ დასავლეთ ევროპაში ჟურნალ-გაზეთობა თავისს ნებით მსახურებს „ბურჟუაზიას“ ან ყაჯახების მომდურავის როლს ასრულებს, ეს მალიან სამწუხაროა, მაგრამ ეს მაინც ასეთს დამღუპველს გავლენას ვერ იქონიებს სახელმწიფო საქმეებზედ. ჩვენ კი სულ სხვა გვარს მდგომარეობაში ვართ. საზოგადოებას მარტო ერთი საშუალება აქვს საზოგადო-სახელმწიფო საკითხავების განხილვაში მონაწილეობის მიღებისა, მხოლოდ ერთი საშუალება აქვს საქვეყნოდ გამოსთქვას თავისი ფიქრი და აზრი თავისის სამშობლოს კეთილდღეობის შესახებ, მიიღოს მონაწილეობა იმ საქმეში, რომლისაგანაც დამოკიდებულია ბედ-იღბალი მთელის რუსეთის ხალხისა... ეს გზა, ეს საშუალება ჟურნალია, გაზეთი, და თქვენ-კი ამას რად გინდათ გარდააქციოთ და — ეს ფიქრიც-კი შეაძრწუნებს ადამიანს! — რად გარდააქციეთ კიდეც!? განა თვით და-

---

ქართულს ენასა და წიგნსა ჯეროვანი ადგილი ექიროთ სახალხო სკოლებში და მათს სწავლებას ერთგულად და მუყაითად ეკიდებოდნენ მასწავლებლები. ხოლო უკეთესი ღონისძიება ამათი გამხნევებისათვის არის მათი ღვაწლის დაფასება, მათი ნაყოფიერი მოქმედების აღიარება, მათი ზნეობრივი დაჯილდოება, თუ ნივთიერი დაჯილდოების სახსარი არა გვაქვს. ამის გამო ყოველი სიტყვა, რომელიც-კი მასწავლებლების მოქმედების ნაყოფს სხვას ვისმე მიაწერს, დიდად მავნებელი და მაზარალებელია ხალხის განათლებისათვის, საზოგადო სიკეთისათვის. ვინ ამბობს, აკაკის პოეზიაში უფრო მეტი ურევია ხალხური ელემენტი და თვისება, უფრო ადვილად იგებს ხალხი მის სუბუქს ენასა, უფრო ხშირად კითხულობს; მაგრამ საძირკველი, რომელზედაც შენდება კედლები და სახურავი ჩვენის მწიგნობრობისა მთლად ჩაყრილია უჩინარის სოფლის მასწავლებლის ხელითა...

საგრამატიკო საბუთიც წამოაყენა ბ-ნმა დოდაშვილმა „ჰკვიერის“ გას მართლებლად. იგი ამბობს: „განყენებულ საგანთა სახელწოდებათაგან სწარმოებს ქართულში ზედშესრულები ორი დაბოლოებით: (რა ენაა?) იანი, იერი: გონება, გონებიანი, გონიერი. ხოლო როდესაც ზედშესრული ნიშნავს რაიმე ნივთიერი საგნის კუთვნილებასა, მაშინ ამ გვარი ზედშესრული არ იკარებს მეორე დაბოლოებასა: ფული, ფულიანი და არა ფულიერი“. — ამ შემთხვევაში ჩვენი გრამატიკოსი მოგვაგონებს იმ საარაკო მოგზაურსა, რომელიც მიუახლოვდა ერთს ქალაქსა და შეხვდა ორ კაცსა, ქალაქიდგან მომავალსა. ერთიც თურმე პაჭუა იყო და მეორეც. მოგზაურმა ამ ორი პაჭუას ნახვა საკმარისად დაინახა ქალაქის მცხოვრებთა თავისებურობის შესატყობლად, აღარ შევიდა შიგა, გამოაბრუნა უკან ცხენი და თავისს მოგზაურობის აღწერაში ჩასწერა: „ესა და ეს ქალაქი იმითია შესანიშნავი, რომ მისი მცხოვრებლები სულ ერთიანად პაჭუები არიანო“. ნამდვილად-კი ქალაქში ამ ორი პაჭუას მეტი არ მოიპოვებოდა, სხვას ყველას სწორე ცხვირი ება. ჩვენს გრამატიკოსსაც მზგავსივე ოინი დამართვია. ათიოდე განყენებული შინაარსის სიტყვა უპოვნია, რომელიც იმშვენევს ბოლოზედ ორსავე სუფიქსსა: იანი, იერი, ეს მაშინვე საზოგადო თვისებად მიუღია ამ გვარის სიტყვებისათვის და კანონად უღიარებია. და რადგანაც „ჭკუა“ განყენებული საგანიაო, დასკვნის იგი, ამის გამო მისგან წარმომდგარს ზედშესრულს შეიძლება ერთი დაბოლოებაც მივაკეროთ და მეორეცაო: ჭკვიანი, ჭკვიერი, ამ კანონის გასაცრუებლად საკმარისია ვკითხოთ ბ-ნს დოდაშვილსა: რა გვარი სიტყვებია: სინიდისი, ნამუსი, ჯანი, ყუათი, სვე, შური, ჯიბრი, მადა, დრო, სუნი და სხვანი მზგავსნი? რა საკვირველია, განყენებულის რიგობისა. მაშ აბა სცადეთ და ამ განყენებულს სიტყვებს მიაბით „იერი“, გამოგივათ: სვინიდისიერი, ნამუსიერი, ჯანიერი, ყუათიერი, სვიერი, შურიერი, სუნიერი, მადიერი, ჯიბრიერი, დროიერი და სხვ. თავს არ მოდის განა? პაჭუა მათში არც ერთი არ გამოდგა და არც ბევრი სხვა განყენებული სახელი არსებითი გამოდგება, თუ გამოიკვლევთ. როგორც ხედავთ, თქვენი კანონი იმ მოგზაურის მართალსა ჰგავს და ამ პაჭუა კანონს! არამც თუ აკაკის „ჰკვიერის“ დაცვა არ შეუძლიან, თვითონ თქვენ ჭკვიანობასაც სახელს უტეხს. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ დაბოლოება „იანი“ ეთვისება და უხდება ყოველ გვარს სახელ არსებითსა განყენებულსა, გინდა ნივთიერობითსა. სამაგიეროდ დაბოლოებას „იერი“ იუცხოვებს და არ იკარებს არამც თუ არც ერთი ნივთიერობითი სახელი, არამედ ბევრი განყენებულიცა, როგორც ეს ცხად ჰყო ზემოდ მოყვანილმა მაგალითებმა. ეს მოვლენა ჩვენ გვასწავებს იმასა, რომ პირველი დაბოლოება უფრო ქართულესია, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, და ამიტომ ჩვენ უნდა ვერიდოთ ხმარებას რომელიმე სიტყვისას დაბოლოვებით «იერი» (ჰკვიერი), თუ ამ სიტყვას აქეთ და იქით საქართველოში ხმარობენ დაბოლოებით იანი — ჭკვიანი.

ხოლო რავდენად ეუცხოვებათ ფორმა „ჰკვიერი“ არამც თუ აქეთ საქართველოში, სადაც მას ვერავისაგან ვერ გაიგონებთ, არამედ იქითა მიაც, ცხადად დივინახავთ შემდეგი ფაქტიდგანა: როდესაც მე ივლისის დამდეგს წავუკითხე ერთს იმერს, მუდმივ თანამშრომელს „კვალისას“, სია იმ შეცდომებისა, რომელიც აკაკის მოუვიდა იმ პატარა ჭრელ ფიქრებში, სადაც გამოილაშქრა ალგიაროზედ, იმან მითხრა: ეგ ჰკვიერი კარეკტურის შეცდომა უნდა იყოსო, აკაკი მაგ ფორმას ვერ იხმარებდა, მეც პირველად მესმისო.

მაშასადამე ჰკვიერი არის უხეირო ნაძალადევი ჩიქორთული და მის ხმარებას აკაკი უნდა ერიდოს, რადგანაც თავისი ავტორიტეტის გამო ეს მდარე, შეუსაბამო ფორმა შეიძლება დაამკვიდროს ლიტერატურაში, ქართულის ენის საზიანებლად.

უფრო უარესად შეეშალა ნახტომი ბ ნს დოდაშვილს აკაკის მეორე შეცდომის დაცვაში. ჩვენ უკანონოდ ვსცანით ფრაზა: სწორი მართალი, და ვსთქვით: უნდა ყოფილიყო: სწორე მართალი. პირველი დაბოლოებით ეს ზედშესრული ნიშნავს ტოლსა, ბადალსა, რუსულად: РОВНЫЙ, РОВЕСНИКЪ; მეორე დაბოლოებით იგი აღნიშნავს არა დაკლაკნილსა, არა მოზნექილსა, არა ბრუდესა, არამედ პირდაპირსა, რუსულად; ПРЯМОЙ. ჩვენი გრამატიკოსი აგვხირებია: არაო, ორივე ფორმას ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვსო, და გინდა ერთს იხმარებ, გინდა მეორესა, სულ ერთიაო. ამბობს ამასა, მაგრამ ვაი იმ თქმას თვითონვე გრძნობს, რომ ჭეშმარიტებას ჰღალატობს, ეშინიან ცხადად განმტყუნებისა და ამიტომ გასაძრომს იკეთებს. იგი ტყდება, რომ შესაძლებელია ხალხი აძლევდეს რაიმე განსაზღვრულს მნიშვნელობას ამ სიტყვის ხმარებას ერთი და მეორე დაბოლოებითაო; მაგრამ ეს ჯერ უნდა გამოიკვლიოთ და მერმე უკიჟინოთ უკანონო ხმარება აკაკისაო. გამოვიკვლიე, ბ-ნო, და დღესავით ცხადად დავანახვე ყველას, ვისაც დანახვა სურდა, რომ ერთი ფორმა ერთსა ნიშნავს, მეორე მეორესა და მათი არევა ერთმანეთში უაზრობასა ჰბადავს. მაგრამ თქვენ რიყეზედ ქვის დანახვა არა გსურთ და ჩვენი რა ბრალია. მეტი გზა არ არის, უნდა სხვა მხრიდგანაც მოვუაროთ საქმესა და ახალი მაგალითებით ნათელი მოვფინოთ აკაკის შეცდომას და მისი ადვოკატის უსაფუძვლობასა. ჭეშმარიტების გამოსაბრწყინებლად ავიღოთ ხალხური ლექსი: „მინდორში წაველ, სწორებო, მზე წითლად ამოდიოდა.“ განა აქ შეიძლება ვიხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავლეთ ევროპაში, იმისდა მიუხედავად, რომ მრავალ გვარი საშუალებაა ყოვლად მხნე სახელმწიფო საქმეთათვის ხალხის მომზადებისა, ჟურნალ-გაზეთობა მაინც ამ მხრივაც დიდს შემწეობასა და დახმარებას უწევს ქვეყანასა. იგი ზრდის საზოგადოების და სახელმწიფო მოღვაწეთ. აბა, შეხედეთ რამდენი სახელმწიფო მოღვაწე აღზარდა ჟურნალ-გაზეთობამ თუნდ, მაგალითებრ, საფრანგეთში. რამდენმა პუბლიცისტმა დაანება თავი თავისს მშვიდს და ელექტრონის სავარძელს, რომ დიდად სავალდებულო თანამდებობა მინისტრისა ეკისრნა. ტყუილად-კი არ განუმარტავთ მეცნიერ სახელმწიფო მოღვაწეთ, რომ პუბლიცისტი და სახელმწიფო მოღვაწე, ერთსა და იმავე თანამდებობას ასრულებს, იმ განსხვავებით-კი, რომ პუბლიცისტი მწერალი—სახელმწიფო მოღვაწეა, სახელმწიფო მოღვაწე-კი მომქმედი — პუბლიცისტია. მაგრამ ასეთს პუბლიცისტებს გვიზრდის რუსული ჟურნალ-გაზეთობა, რომელსაც სამაგალითოდ და მასაზრდოებლად აქვს ზრახვის სალაყბო ფურცლები? გიმეორებთ სწორედ, ამის ფიქრში გატარებაც-კი შეგზარავს ადამიანს...

რუსეთის ჟურნალ-გაზეთობის გარდა, სხვა ასპარეზი არა აქვს, რომ უმაღლესს მთავრობას მართლაც რამე დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს და ამ ჟურნალ-გაზეთობას კი თავისს საგნად „ფიგაროს" მეტოქეობა გაუხდია!

სიტყვა მართალი და მიუფერებელი თუ გინდათ, ეს არის!..

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

„Новое Время" ხელახლავ ეხება აღმოსავლეთის საქმეს, რომლის გამო ამბობს:

ჩინეთში გასასყიდლად მიტანილ საქონლის რაოდენობით ბრიტანიას პირველი ადგილი უჭირავს. რა თქმა უნდა, თუ კინიცობაა ჩინეთი იმ პირობებით შეურიგდა იაპონიას, რომ მისთვის საზარალო იყო, ინგლისის დიპლომატები ეცდებიან განაძლიერონ ჩინეთში თავისი უფლებანი და, ამას გარდა, ხელთ იგდონ ადგილები შიგ ჩინეთში და ეს ადგილები შეუერთონ ზღვის ნაპირებს.

საფიქრებელია ისიც, რომ ინგლისი ეცდება ხელი შეუშალოს რუსეთის მშვიდობიანობის კავშირის შეკვრის დროსა და არ მისცეს საშუალება ამ საქმეში ჩარევისა.

ხოლო რუსეთის დიპლომატები უნდა ეცადნენ, რომ კორეს საქმეში უმთავრესი ხმა რუსეთისა ჰქონდეს, რადგანაც ეს საქმე უფრო რუსეთს შეეხება და არა ინგლისს, ამიტომ კორეს საქმე მორიგებით უნდა გადასწყვიტონ რუსეთმა, ჩინეთმა და იაპონიამ.

**

ვინ უფრო კარგად სცხოვრობს პეტერბურგში? კითხულობს გაზეთი „Нов. Вр." და თითონვე ასეთს პასუხს იძლევა:

«პეტერბურგში ყველაზედ კარგად პოლონელები სცხოვრობენო, რომელთა რიცხვი თანდათან ჰმატულობს მოსამსახურე—მოხელეთა შორის. აბა აიღეთ, მაგალითად, ნიკოლაევის რკინის გზა: ვინ არიან აქ მოსამსახურენი: გნოინსკი, სლობოძინსკი, კრუბლევსკი, ბალევსკი, პოდგურსკიები, ხალეცკი, სოკოლოვსკი და სხვანი. აბა ახლა შეიხედეთ სახელმწიფო კონტროლში, რომელსაც ჰმეთაურობს სულით და გულით რუსი ტ. ი. ფილიპპოვი. აქაც ცესანოვსკი, გომიშევსკი, ჟარნოვსკი, იანოვსკი, როგოვსკი, რაზუმევიჩი, ქეროზსკი, მარკოვსკი, ტომკევიჩ, სიჩეტინსკი და სხ. გზათა უწყებისა და პეტერბურგის ვექილებისას ხომ ნულარას იტყვით. ამ ადგილებში პოლონელებმა დიდი ხანია მოიკალათეს და ისე თავისუფლად ჰგრძნობენ თავსა, გეგონებათ, თავისს სახლში არიანო. მხოლოდ იმას კნანობთ, რომ ვარშავა და საზოგადოდ პოლონია ისეთს მასპინძლობას და სტუმრის მოყვარეობას ვერ უწევენ რუსებს, როგორც პეტერბურგი—პოლონელებსა.

## რუსეთი

—

ქალაქ უფიდგან ერთი კორესპონდენტი „Самарскій ВѢстникъ"-ს შემდეგს ამბავსა სწერს.

„ამ დღეებში აქაურ მცხოვრებლებს თავს ზარი დასცა ერთმა ახალმა ამბავმა: ხმა გაისმა, რომ ქალაქის სავაჭრო მოედანზედ დაირჩო ქალაქის მოურავის საყვარელი ღორიო. მოურავი ღორის საშველად გაემურა, მაგრამ თითონაც ყელამდინ ტალახში ჩაიფლო. ამ განსაცდელისაგან მოურავი ცეცხლის მქრობ რაზმის უფროსმა გადაარჩინა, რადგანაც დაკვლებული იყო მოურავისაგან; მოურავს ვექილისათვის (თავისის ნათლულისათვის) მიუნდვია, რომ ზარალი ქალაქს გადაახდევინოს, თვითონ-კი ფიცი დასდო, რომ თუ სამერმისოდაც ქალაქის მოურავად დავრჩები, მაშინ კი უთუოდ გავაშრობინებ და თუ მთელს სავაჭრო მოედანს არა, იმ ადგილს მაინც, სადაც ჩემი საყვარელი ღორი დაირჩო, ქვით დავაფენინებო".

თუ რომ კორესპონდენტი არა ხუმრობსო, განაგრძობს გაზეთი, შემდეგი ამბავი-კი მართლა, რომ თავს ზარს დამცემია.

„ამის განსამარტებლად ისიც უნდა დაუმატოთო, განაგრძობს კორესპონდენტი, რომ ჩვენს სავაჭრო მოედანზედ ყოველ წლივ იხრჩობა ხალხი და ეტლები და ქალაქის დაარსების დღიდგან, თითქმის სამასი წელიწადია, ამ მოედნის მოკენწკვას აპირობენ და ვერ მოუხერხებიათო. მაშასადამე უფა თავისს სამასის წლის ტალახში ყოფნას მალე იდღესასწაულებსო.

## უცხოეთი

—

**აღმოსავლეთის ომი.** იაპონიის ჯარი დიდის სიფრთხილით უახლოვდება მუკდენს და ადგილობრივს მცხოვრებთ არას უშავებს. ჯარი ძლიერ წესიერად იქცევა და ხალხს არა სძარცვამს. ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ ჯარისათვის მიტანილ სურსათში იმ წამსვე ფულს აძლევენ და მცხოვრებნიც ამიტომ თან უგრძნობენ იაპონელებს. იაპონიის მთავრობამ პირობა მისცა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებს სეულში, თქვენს ინტერესებს დავიცავთ იმ შემთხვევაშიაც, თუ ვინიცობაა პეკინი დავიპყრეთო. იაპონიის ჯარის მთავარ-სარდალმა გრაფმა იამაგატამ განაცხადა, ჩვენი ჯარი არ გაძარცვამს ჩინეთის სატახტო ქალაქს და ამიტომ პეკინში მყოფ დიპლომატებს არაფრის შიში არ უნდა ჰქონდეთო.

—

გაზეთი „Daily Telegraph" იუწყება, რომ ვულვიჩის ქარხანაში დღე და ღამ მუშაობენ, რომ მოასწრონ ჩინეთის მიერ შეკვეთილ საომარ იარაღების გაკეთება. ეს იარაღი ჩინეთში გაიგზავნება ინგლისისავე სამხედრო გემებით. გაზეთი დასძენს, რომ ჩინეთისათვის ისეთის ზომის ტყვიაყუმბარა კეთდება, რომ სხვა სახელმწიფოს არ გამოადგებაო.

—

გაზეთ „Speaker"-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი იაპონიისა და ჩინეთის ომის შესახებ. გაზეთის სიტყვით, უკვე დადგა დრო, რომ ევროპის სახელმწიფონი ჩაერივნენ ამ საქმეში. ინგლისის სავაჭრო ინტერესებისათვის საჭიროა, რომ ჩინეთსა და იაპონიას შორის მშვიდობიანობა ჩამოვარდეს იმ პირობებით, რომ ჩინეთმა არ დაჰკარგოს თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ჩვენ უნდა ვეცადნეთ, რომ ჩინეთი არ დაუძლურდეს და ამიტომ ბოლო უნდა მოვუღოთ ეხლანდელს ომს. სამ სახელმწიფოდ დანაწილება ჩინეთისა მოუხერხებელია, რადგანაც ეს სახელმწიფონი მაშინ ბოლგარიის სამთავროებს დაემსგავსებიან და ეს გარემოება თავისს მხრივ მრავალ ხრიკს გამოიწვევს უცხოელთა დიპლომატიაში. ყველას ისა სჯობია ჩინეთის საქმე ინგლისს ჩაებაროს ისე, როგორც ჩაბარებული აქვს იმასვე ეგვიპტისა და ინდოეთის საქმენიო.

## სასამართლოს მატიანე

65 წლის საქმე

—

ყაზანის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებაში 16 აგვისტოს განხილულ იქმნა საქმე, რომელიც ამ 65 წლის შეკრულ ქონების განთავისუფლებას შეეხებოდა. მომჩივარი ამ საქმისა კოზმოდემიანოველი ვაჭარი ვიღაც ოვჩინნიკოვი იყო, პასუხის მგებელად-კი—სახელმწიფო ხაზინა, რომლის რწმუნებულიც გამოცხადდა სასამართლოში. საქმის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ 1829 წელს ოვჩინნიკოვის მამას რაღაც სახელმწიფო გარდასახადებისათვის მოძრავი ქონება შეუკრეს. შემდეგ ეს ქონება აღარ განუთავისუფლებიათ, თუმცა მიზეზი შეკვრისა აღარ არსებობდა, ე. ი. სახელმწიფო გარდასახადი უკვე გარდაიხადა. ამასობაში მამა გარდაიცვალა და ეს მოძრავი ქონება შვილს დარჩა სამკვიდროდ. შვილმა გარდასწყვიტა, რაც უნდა დასჯდომოდა, მამული განეთავისუფლებინა და სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წინაშე შუამდგომლობა დაიწყო. მაგრამ გადიოდა თვე, წელი და წელიწადებიც-კი და იმის შუამდგომლობას, თუმცა ოფიციალურ დაწესებულებაში „უყურადღებოდ არა რჩებოდა", ბოლო მაინც ვერ მოეღო. მომჩივანი ხან არზას ჯეროვანს მარკას არ აკრავდა, ხან ადრე აძლე-

---

რით სწორეებო? მაშინ ხომ გამოვა: არა მრუდეებს, არ დაკლაკნილებსო, ესე იგი სრული უაზრობა. ვთხოვ მკითხველსა მოიგონოს, რომ მრავლობითი რიცხვი სიტყვისა „სწორი" იქნება სწორ-ები ხოლო სიტყვისა „სწორე" სწორეები. მოვიყვანოთ ახლა ფრაზა: ეს სარები მრუდეები-კი არ არის, სწორეებია. ამ მაგალითშიაც შეუძლებელია გამოვსტოვოთ უკანასკნელი სიტყვიდგან ერთი ე და გავხადოთ: სწორები ესე იგი ტოლები, ბადლები. მივმართოთ სხვა მაგალითებსა. მაგრამ არა, ჯერ გონებაში განვიახლოთ ბრუნვა საკამათო სიტყვისა ორივე დაბოლოებით:

სწორ-ი სწორ-ე
სწორ ისა სწორ-ე სი
სწორ-სა სწორ-ე სა
სწორ-მა სწორ-ე მა
სწორ-ით სწორ-ე თი
სწორ-ად სწორ-ე-და
სწორ-ო სწორ-ე-ვ.

ახლა დავაკვირდეთ შემდეგს ფრაზებს: ორშაბათი ორშაბათის სწორია. რუსთაველს სწორი არა ჰყავს ქართველს პოეტებში. იქ დავრჩი ერთის სწორის განმავლობაში. დღეის სწორს დავბრუნდები, ერთმა სწორმა გაიარა. ქალაქში სწორამდე დავრჩი. ჩემო სწორო და ტოლო. ვანოს სწორებმა დაუძახეს.—ჩვენი მთავარ გრამატიკოსის აზრით ეს ფრაზები ასედაც შეიძლება ითქვას: ორშაბათი ორშაბათის სწორეა. რუსთაველს სწორე არა ჰყავს ქართველს პოეტებში. იქ დავრჩი ერთის სწორეს განმავლობაში. დღეის სწორეს დავბრუნდები. ერთმა სწორემ გაიარა. ქალაქში სწორემდე დავრჩები, ჩემო სწორევ და ტოლო. ვანოს სწორეებმა დაუძახეს. განა სასაცილო შეუსაბამობა გამოდის? თუ მკითხველი დროს არ დაიშურებს, თვითონაც ბევრს მაგალითს მოიგონებს, სადაც სწორის შეცვლა სწორეზედ და უკუღმა მონასტერს სრულიად არევს.

წახდა, აშკარად წახდა კაკალი არხი გრამატიკოსი და მასთან მთლად გაცრუვდა აკაკის ვირი, რომელმაცა სთქვა: სწორი მართალი (ровная правда), ნაცვლად: სწორე მართალი (прямая правда). ამასთან ისიც გაიხსენეთ, რომ ჩემი ვირი, რომელსაც აკაკიმ უკიჟინა უკანონობა ფორმისა „გაღიარებ" სრულიად გამართლებული გახლავთ ჩემი პირველი წერილითა. მაშასადამე, სიმტყუნე და უცოდინარობა მთლად და სავსებით აკაკის ვირის მხარეს აღმოჩნდა....

ბ-ნი სილოვანის გადაწყვეტილობით-კი სადილი უნდა გავუკეთო მე, ორივე მხრივ მართალმა, აკაკის, ორკეცად მტყუანსა. სიმართლევ, სად გაქრი ჩვენი სალიტერატურო დასიდგან?!

აკაკის მესამე შეცდომის გასამართლებლად ბ-ნმა დოდაშვილმა ბევრგვარს ხრიკებს მიმართა, მაგრამ ამაოდ. შეცდომა შეცდომად რჩება. სამწუხაროდ ამ შეცდომის ჩამდენი სხვებიც არიან. მით უმეტეს საჭიროა ამ შეცდომის მხილება მომეტებული სავსებით, ვიდრე ეს წინედ მოვახდინეთ. საქმე ის არის, რომ ჩვენ უკანონოდ ვსცანით აკაკის გამოთქმა: „თავის დღეში" შემდეგი მოსაზრების ძალით. პირველს ადგილს უნდა იჯდეს ნაცვალ-სახელი თავისი მიცემითი ბრუნვის დაბოლოებით (თავისს), რადგანაც სახელი არსებითი თანდებულით (დღეში) ამ ბრუნვაზედა სდგას. ამის ნაცვლად ნახმარია სახელი-არსებითი («თავი») ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებით („თავის"). გამოდის ორგვარი შეუსაბამობა და არევ დარევა ფორმებისა, სიტყვებისა და აზრისა. ჩვენ უბრალო და კანონიერი ღონისძიება ვაჩვენეთ ამ შეცდომის ასაცილებლად, სახელდობ: ხმარება ნაცვალ სახელისა სრული ფორმით ანუ მიმატება ბოლოში მიცემითის ბრუნვის დაბოლოებისა ს: თავის-ს. ეს უხმო ასო, რომელსაც სრული უფლება და სამართლი აქვს იჯდეს ბოლოში, მთლად სპობს ორ-აზროვნობას, სიტყვების და ბრუნვების ერთმანერთში არევას და ფრაზას აძლევს მხოლოდ იმ ერთად ერთს მნიშვნელობას, რომელიც მას უნდა ჰქონდეს. ყველასაგან მოველოდი წინააღმდეგობასა ამ შემთხვევაში და გრამატიკოსისაგან კი არასდროს, მაგრამ, ეტყობა როდესაც ვისიმე ადვოკატობას კისრულობს კაცი, იგი მაშინ ადვილად ღალატობს თვით თავსს სოციალურს საქმესაც-კი. რათა შავი თეთრად მოეჩვენებინა მკითხველისათვის, ბ-ნმა დოდაშვილმა უპირველესად ყოვლისა დომხალივით აურია ერთმანეთში ბრუნვა ამისთანა სხვა-და-სხვა ჯურის გამოხატულობისა. მამის შვილი, ჩემი ძმა, თავისი თავი. სამივე წინამძღოლი სიტყვა მამის, ჩემი, თავისი—ნათესაობითი ბრუნვაზედ სდგანან და არ უნდა იბრუნებოდნენო, ისიც საკმარისია, რომ მათი მამდევნო სიტყვა იბრუნებაო. ადვოკატობა მეტი გინდათ კიდევ? პირველი სიტყვა რომ ნათესაობითის ბრუნვისაა და მისი დაბრუნება არ შეიძლება, ეს ყველამ იცის: ვერ ვიტყვით: მამისის შვილისა, მამისმა შვილმა, მამისსა შვილსა, მამასაო შვილო, და სხვანი. მეორე და მესამე სიტყვა ზოგს ბრუნვებში შემოკლებას იტანენ, როგორც სხვა ზედშესრულნი და ნაცვალ სახელნი; მაგრამ ზოგში კი ცივს უარს გეუბნებიან და იძულებულს გხდიან იხმაროთ სრული ფორმით. ჩვენმა გრამატიკოსმა პირველი ბრუნვები შეკვეცილი სახით გამოჰკიმა თავისს წერილში დასამტკიცებლად იმისა, რომ ბრუნვათა დაბოლოება აქ საჭირო არ არისო; მეორე ბრუნვები კი, რომელნიც შეკვეცას ვერა მშვენეობენ, მიმალა, ამიტომ საჭიროა დღის ნათელი მათ ჩვენ ვაჩვენოთ: არას გზით არ შეიძლება ვსთქვათ: ჩემ ძმამ, ჩემ დედამ, ჩემ მზემ, შენ მამამ, ჩემ დაო, ჩემ თავო, ჩემ შვილო, უთუოდ უნდა მივაბათ ბრუნვის დაბოლოება და ასეთი სახე მივცეთ: ჩემმა ძმამ, ჩემმა დედამ, ჩემმა მზემ, შენმა მამამ, ჩემო დაო, ჩემო თავო, ჩემო შვილო და სხვა. ამ მიცემითს და წოდებითს ბრუნვას იმიტომ დაafარა ხელი ჩვენმა ადვოკატმა, რომ ისინი გაჰკივიან მის წინააღმდეგ, ამხილებენ მისი მოსაზრების სიყალბესა და მოწამენი არიან იმისნი, რომ სხვა ბრუნვებსაც ამ სიტყვისას დაბოლოება ეკვეცებათ ჩვენი ძალ-დატანებით. როგორც იბრუნება „ჩემი თავი, სწორედ ისევე იბრუნება თავისი დღე: თავის-ის დღისა, თავისს დღესა, თავისმა დღემა, თავისი დღით და სხვ. ამის გამო გამოთქმა: თავის დღეში უნდა ჩაითვალოს უკუღმა დამახინჯებულ გამოთქმათ, რომელიც უნებლიედ იწვევს კითხვასა: ფეხების დღე რომელიღაა? მართალია, ორივე ნაცვალ სახელი, „ჩემი" და „თავისი" წარმოსდგებიან ნათესაობითი ბრუნვიდგან, მაგრამ დაბოლოება და მნიშვნელობა აქვთ დასაწყისი ფორმისა და იკანკლედოებიან, როგორც სხვა

ვდა თხოვნასა და ხან გვიან. ამასობაში-კი მამულის განთავისუფლება უთუოდ უნდოდა, რადგანაც თავისუფლად ვერა ჰსარგებლობდა (შეკრულობისა გამო ვერც გაჰყიდდა, ვერც დააგირავებდა და სხვ.).

ბოლოს, ბევრის წვალების შემდეგ, ამ საჩივარში დაბერებულის ოვჩანნიკოვის საქმე როგორც იყო დაბოლავდა. როდესაც სახელმწიფო ხაზინის წარმომადგენელი მოსამართლეების წინ წარსდგა, განაცხადა, რომ ოვჩანნიკოვის შუამდგომლობა სამართლიანად მიმაჩნია და იმის წინააღმდეგ ვერას ვიტყვიო. ოლქის სასამართლომ გარდასწყვიტა ოვჩანნიკოვის მამული 65 წლის შეკრულობის შემდეგ განეთავისუფლებინა.

## ბიბლიოგრაფია

„Times“-ში დაბეჭდილია ინგლისის პარლემენტის წევრის კერზონის წიგნი: „შორეულ აღმოსავლეთის საქმე—იაპონია, კორე, ჩინეთი.“ კერზონი თავისს წიგნში სცდილობს განმარტოს საპოლიტიკო მნიშვნელობა იმ ამბისა, რომელიც ხდება ეხლა აღმოსავლეთში.

ავტორს ყოველ მხრივ დაწვრილებით შეუსწავლია თავისი საგანი. იგი სცდილობს გამოარკვიოს, რა ბედი მოელის სახელმწიფოს, რომელსაც უდიდესი ადგილი უჭირავს დიდის ოკეანედგან კავკასიამდე და ვლადივოსტოკიდგან სინგაპურამდე. კერზონის აზრით, აზიის ყველა ერი ნაწილია ერთის დიდის მანქანისა და ამიტომ სცდილობს იმის განმარტებას, რა მნიშვნელობა აქვს ამ მანქანის თითოეულს ნაწილს. დასავლეთ ცივილიზაციის გამო დაიშლება ეს ძველად ძველი წესი აზიის სახელმწიფოთა ცხოვრებისა, თუ გაუძლებს ამ ცივილიზაციას? ან არა და შეიძლება

თუ არა ისიც მოხდეს, რომ ეხლა აღმოსავლეთმა გამოილაშქროს დასავლეთზედ და დაიპყროს კიდეც.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

გაზ. «Daily Post»-ში შემდეგი სასაცილო ამბავი სწერია: „დუკი და დუკის მეუღლე ტეკი ლივერპულში მივიდნენ თურმე, სადაც მათ ლორდ-მერი მაგებება და შესაფერი სიტყვა უთხრა. როდესაც დუკს პასუხად სამადლობელი სიტყვა უნდოდა ეთქვა, იმის პირდაპირ მეორე სახლის ფანჯრიდგან გაისმა: „ხმა გაიკმინდე, შე ტუტუცო!“ ყველა იქ მყოფი შიშით მიიხედეს ფანჯრისაკენ და გალიაში მჯდომი თუთიყუში-კი დაინახეს. დუკმა გაიცინა და სთქვა: „თქვენი სიტყვის პასუხს ჩემს სასახლეში გეტყვით, სადაც არავინ დამიშლისო.“

ამერიკის შტატს ოტტავაში ადგილობრივს მთავრობას ბაყის გარდახდევინება დაუწესებია იმ ყმაწვილ კაცებისაგან, რომელნიც ცოლს არ ირთავენ და უქოლოებად რჩებიან. ამ დადგენილების ძალით ამერიდგან 380,000 ყმაწვილმა უნდა იხადონ ეს ბაყი, თუ ცოლი არ შეირთეს.

## განცხადებანი

კბილის ექიმი

### ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—6.—10)

სებითა და მიკემითი ბრუნვის ნაცვლად ნათესაობითი ბრუნვა სრულიად სხვა სიტყვისა. მაშასადამე, მაგრამ თქვენ ამ მაშასადამეს წინ ელობებით შემდეგი შარით: „რა განსაკუთრებითი მნიშვნელობა უნდა მისცეს (რასა?) „ს“-მა საკამათო სიტყვაში, როდესაც შემდეგი სიტყვა გვატყობინებს ბრუნვასაცა და რიცხვსაცა. ჯერ ერთი ესა, რომ შემდეგმა სიტყვამ შეიძლება ყოველთვის ვერ აასრულოს თავისი მოვალეობაც და წინამორბედისაც და ვერ შეგვატყობინოს, რაშია საქმე. მეორედ, სადაური საბუთია, პირველს სიტყვას შეიძლება უკანონო, დამახინჯებული, ორ-აზროვანი ფორმა ჰქონდეს და ცოდვილი იყოსო, რადგანაც მისი შეცოდების გასწორება მეორე სიტყვას შეუძლიანო; ის არა სჯობიან, რომ ორივე უცოდველნი იყვნენ*) მესამედ, პირველი სიტყვის ხმარება შემოკლებით, განუსაზღვრელად, მით უმეტესს ორ-აზროვანი ფორმით, კაცის გონებაში ხშირად ჰბადავს სხვა, შეუსაბამოს წარმოდგენებსა, რომელნიც გამოიდევნებიან ხოლმე მხოლოდ შემდეგი სიტყვის წაკითხვის მეოხებით, და ისიც არა ყოველთვის; ამაში ტყუილად იკარგება ძალიც გონებისა და დროცა და სწორე მსწრაფლი აზროვნობა ფერხდება, ბრკოლდება.

(დასასრული მეორე წერილისა იქნება)

*) და ლოღიკას არ ვასწორებინოთ გრამატიკული შეცდომის შედეგი?

დასაბამითი სახელები. საყურადღებო კიდევ აქ ის გახლავთ, რომ წინედ, ვიდრე გრამატიკოსობდა ბ-ნი დოდაშვილი, იგი მიცემითს ბრუნვაში იმისთანა სიტყვებსაც აბამდა მეორეჯერ უხმო ასოს „ს“, რომელთაც უამისოდ აზრი სრულიად არ ეცვლებოდათ; მაგალითად, მის საგრამატიკო წერილებში, რომელიც იბეჭდებოდა „მოამბეში“ ხშირად შეხვდებით ამისთანა ფორმასა «უმთავრესს». ახლა-კი როდესაც გაადვოკატდა, იგი ამ დაბოლოებას აკვეცავს იმ სიტყვებსაც, რომელნიც ამის გამო თავისს აზრსა და მნიშვნელობას ჰკარგავენ. წარმატებაც ამასა ჰქვიან.

ჩვენმა გრამატიკოსმა, ეტყობა, თვითონვე იგრძნო სიყალბე თავისის პირველი საბუთისა და ამიტომ წამოაყენა მეორე; მაგრამ იმისთანა, რომ მასვე ამტყუნებს. იგი სწერს: „ქართული ენა ერიდება ორ თანაბარ თანხმოვანთა (უნდა ყოფილიყო: ორის ერთნაირი თანხმოვანის) შეხვედრას სიტყვებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე თანაბარი თანხმოვანი აძლევს მთელს სიტყვასა რაიმე განსაკუთრებულს მნიშვნელობასა“. გიშველოთ ღმერთმა! ზემოთ თქვენი ორივე ბედნიერი თვალით დაინახეთ, რომ მეორე ასო „ს“ საკამათო სიტყვაში (თავისს დღეში) იმდენად საჭიროა, რომ უამისოდ ნაცვალ სახელის მაგიერ გამოდის სახელი არ-

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ, ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ჟ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

### წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| მალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |



## ნერგები

ხეებისა და ბუჩქებისა ტყისა და ბაღის გასაშენებლად და სახეხილე ყლორტები სხვა-და-სხვა ხანისა.

— 20,000,000 —



ნერგის თადარიგი აქვს დაჭერილი გრაფ ზამოისკების სატყეო მმართველობას

### პოდზამჩეში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სედლეცკის გუბერნიის საფოსტო, სარკინისგზო და სატელეგრაფო სადგურს

### სოზოლევში.



განსაკუთრებული კატალოგები და წესი ამ ნერგის დარგვისა გაეგზავნებათ უსასყიდლოდ და ბაჟ-გადაუხდელად.

ტყის მმართველობის ზედამხედველი

ფ. ფ. როჟინსკი.



(1—1 მ.—1)



ვერცხლისა



ოქროსი



ტფილ. გამოფენა.




## ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

### ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მანქანის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს კუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-ედიანკით, სადაც ოზოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიდის ფერად აკჩალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფიის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიპოგრაფიისას.

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყველ გვარას ხელოსნებსაც გუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—31 ალალო თუთაევი